

პაატა პაპავა



დაკარგული
პაიკი


კლასი III

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – ზურაბ სულაკაური

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.





მარი და ბაჩო ულამაზეს სასახლეში
ცხოვრობენ. მათი მშობლები
ნამდვილი მეფე-დედოფალი არიან.

მეფე ზუზას ძალიან უყვარს ხილის
წვენი და ტბაზე თევზაობა. დედოფალ
ანას ძალიან უყვარს ცხენები და
მათემატიკა. ისინი სულ რაღაცას
აკეთებენ, მუდამ დაკავებული
არიან. ზოგჯერ, როცა დრო რჩებათ,
სასახლის დიდ აივანზე სხდებიან
და ჭადრაკს თამაშობენ. მათ ხომ
ჭადრაკიც ძალიან უყვართ.

მარი და ბაჩოც სულ თამაშობენ,
ოღონდ ჭადრაკს არა. ყველაზე ძალიან
სამი თამაში უყვართ: სასახლობანა,
ნაყინობანა და დამალობანა.

სასახლობანა იგივე სახლობანაა,
ოღონდ მას სასახლეში თამაშობენ.



ნაყინობანას თამაში ადვილია.
აიღებ პლასტილინს,
გამოძერწავ ფერად-ფერად
ბურთულებს, ჩააწყობ
პლასტილინის ფინჯნებში და
დააწყობ მაგიდაზე. მერე
დაჯდება სუფრასთან და
დაიწყებ საუბარს.



დამალობანა ძველი თამაშია.
შეიძლება თქვენც იცით, ოღონდ
დახუჭობანაში არ აგერიოთ. როგორ
თამაშობენ დამალობანას? აიღებ ორ
ცალ პატარა ნივთს. ნივთები ერთნაირი
არ უნდა იყოს. ერთი მოთამაშე (ან
გუნდი) ერთ ნივთს დამალავს, მეორე –
მეორეს. ვინც პირველი იპოვის მეორე
მოთამაშის (ან გუნდის) დამალულ
ნივთს, მოგებულის იხაა.

მარი და ბაჩო სულ თამაშობენ, ხან – სასახლეში, ხან – სასახლის ეზოში, ხან კი – სასახლის გარეთ.

ერთხელ მარი და ბაჩო ძიძამ სასახლესთან ახლოს, პატარა ტბასთან წაიყვანა. დამაღლობანასთვის საუკეთესო ადგილი იყო. მივიდნენ თუ არა, თამაში დაიწყეს. მარიმ ბევრი ეძება ბაჩოს რკინის ჯარისკაცი. ძეხნაში გაერთო და გალავნის ქვეშ მაყვლის ბუჩქს მიაღდა. უცებ უცნაური ხმა შემოესმა. ვერ მიხვდა, რა იყო. მწერის ან ქვეწარმავლის ხმას არ ჰგავდა. შეკრთა და მობრუნდა, მაგრამ უცნაური ხმა ისევ გაჟეორდა.

ამ დროს ბაჩოს ყვირილი მოისმა:

– ვიპოვე, ვიპოვე! აი, ვიპოვე
შენი დედოფალა, – მოჰქროდა
გახარებული.

– ჩუ, ნუ ყვირი, – ანიშნა მარიმ.

– მგონი, აქ რაღაც არის.

– აბა, სად?

– აი, აქ, ბუჩქში.

– ან ბაყაყი იქნება ან კუ, –
უდარდელად უპასუხა ბაჩომ. – წამო,
გავაგრძელოთ. ჩემი ჯარისკაცი აქ
არ არის, სხვაგან დავმალე.

– კარგი, წამო, – უპასუხა მარიმ.

ამ დროს ისევ გაისმა უცნაური ხმა.

– ჰოო, მგონი მართლა არის რაღაც,
– ჩაიბურღლუნა ბაჩომ. – მოიცა, ჩემს
ხმალს ამოვიღებ, – თქვა და ქამრიდან
ხის ხმალი ამოაძრო.

– მოდი, ორივე მხრიდან მოვუაროთ
და შევიხედოთ. ოღონდ ფრთხილად,
ეკლებმა არ დაგვკაწროს.

ბავშვებმა ერთდროულად შეიხედეს
ბუჩქებში და ღია ფერის საგანი
შენიშნეს. მარი დაიხარა და ახლოდან
დააცქერდა. არ მოსჩვენებია, ღია ფერის
საგანი ჭადრაკის ფიგურა იყო, თეთრი
პაიკი.

– გამარჯობა, მარი. გამარჯობა,
ბაჩო, – სლუკუნით თქვა პაიკმა.



– გამარჯობა! – ჩურჩულით უპასუხა
გაოცებულმა მარიმ.

პაიკმა ტირილი შეწყვიტა და ჯერ
მარის ახედა, მერე – ბაჩოს. ბავშვებს
გაოცებისგან თვალები ჰქონდათ
გაფართოებული.

– ჩვენი სახელები საიდან იცი? –
ჰკითხა ბაჩომ.

– როცა თამაშობთ ხოლმე, სულ
გისმენთ და გელოდებით. უკვე 32
წელი, 11 თვე და 29 დღეა, აქ ვარ და
ველოდები...

- ვის ელოდები? რას ელოდები?
- ერთად წამოიძახეს ბავშვებმა.
- ველოდები, როდის მოვა ვინმე ამ ბუჩქთან და მიპოვის.
- შენ ვინ ხარ? – ჰკითხა მარიმ.
- პაიკი ვარ. პატარა, საწყალი, ჭუჭყიანი პაიკი. მაგრამ ყოველთვის ასეთი კი არ ვიყავი. ბევრჯერ გავსულვარ დაფის ბოლოში და თამაშში დედოფალიც შემომიყვანია.

– მართლა? დედიკოსაც ძალიან უხარია ხოლმე, პაიკს რომ გაიყვანს ბოლოში. ახლა მიფრთხილდითო, ასე ამბობს.

– რაღაც უნდა გთხოვოთ. იოლი საქმეა, იმედია შემისრულებთ. ჩემს მეგობრებთან დამაბრუნეთ, ყუთში.

– რომელ ყუთში?

– დედოფალ ანას აქვს ჭადრაკი, რომელიც ასი წლის წინ მისი ბებუის ბებუას აჩუქა ლოტოეთის დედოფალმა.

– იცი რა, მარი, მგონი აჯობებს,
ჩვენს ოთახში წავიყვანოთ. ძილის წინ
საინტერესო ამბებს მოგვიყვება და
გაგვართობს ხოლმე, – უთხრა ბაჩომ
დას. მერე პაიკს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ზღაპრები და მითები იცი?

– ზღაპრები და მითები რად
მინდა? დღეში ჩემი თითო ამბავი რომ
გიამბოთ, რამდენიმე წელი გეყოფათ.
სიამოვნებით მოგიყვებოდით, მაგრამ მე
მაინც ჩემი თანამებრძოლების გვერდით
ყოფნა მირჩევნია.



– კარგი, ასე იყოს, – თქვა მარიმ და პაიკი ფრთხილად გამოიყვანა ეკლიანი ბუჩქიდან.

ბავშვები სასახლისკენ გაიქცნენ.

სალამო დადგა. მზემ ბოლო სხივები მოაფრქვია სასახლეს და ჩავიდა. ჭრიჭინებმა ჭრიჭინი დაიწყეს. ზუზა და ანა აივანზე ისხდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. მეფე დიდხანს დაჰყურებდა დაფას, მერე წამოდგა და თქვა:

– მგონი ყაიძია.

– კი, გეთანხმები, – უპასუხა ანამ. – დავასრულოთ. თან ბავშვების ვახშმობის დროა.

ანა წამოდგა, აივნიდან ეზოში გადაიხედა და დაიძახა:

– მარი, ბაჩო, სად ხართ? ვახშმის დროა.

– მოვდივართ, დედა, – ამოსძახა მარიმ.

– სწრაფად, ხელები დაიბანეთ და სასადილო დარბაზში მოდით. მე და მამა ხუთ წუთში მაგიდას მივუსხდებით.

მარიმ საძინებელ ოთახში აირბინა და პაიკი თავისი ბალიშის ქვეშ შეაფარა.



ბავშვები სასადილო ოთახში შევიდნენ
და მაგიდას მიუსხდნენ. სადილი რომ
დაასრულეს, ყველანი საძინებლისკენ
გაემართნენ. ბავშვები საწოლში
დაწვნენ. ზუზა და ანა ძილი ნებისას
თქმას აპირებდნენ.


– დედა, სასახლეში სხვა ჭადრაკი არის? – იკითხა მარიმ.

– კი, როგორ არა, რამდენიმე ჭადრაკი გვაქვს.

– ძალიან ძველი ჭადრაკი გვაქვს? აი, ძალიან, ძალიან ძველი.

ანამ ფანჯარაში გაიხედა. მერე ისევ ბავშვებს მოუბრუნდა:

– კი, გვაქვს. ალიანა დედოფალი გსმენიათ? მან დაგვიტოვა ჭადრაკი. ძალიან ძვირფასია, სპილოს ძვლისა და გიშრის ქვისაგან დამზადებული, მოვერცხლილი ფიგურებით.



– ვა, რა მაგარია! მერე? –
წამოიძახა ბაჩომ.

– მერე ბებიის ბებიამ აჩუქა ბებიის
დედას. მან აჩუქა ბებიას. ბებიამ აჩუქა
დედაჩემს, ანუ თქვენს ბებიას და დედამ
მაჩუქა მე.

– მერე?

– მერე იცით, ვინ თამაშობდა ხოლმე
ამ ჭადრაკით? – თქვა ზუზამ.

– ვინ?

– თქვენმა ბაბუამ ამ ჭადრაკით
მასწავლა თამაში. ამ დაფაზე
თამაშობდნენ ჩვენი სასახლის
პატივცემული სტუმრები: დიდი მეფეები,
ელჩები და მინისტრები. საახალწლო
ტურნირებიც ხომ ეწყობა ხოლმე
ქალაქში. ფინალური შეჯიბრი სწორედ ამ
ჭადრაკით იმართებოდა. ბოლო ტურნირი
თურმე მეხანძრე ბუთას მოუგია.



– მერე?

– მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ამ ჭადრაკის ერთი ფიგურა დაიკარგა, – ამოიოხრა ანამ.

– რა ფიგურა?

– პაიკი. თეთრი პაიკი. მე მაშინ პატარა ვიყავი. მე და ჩემი და, ტუსი, ვეწვიეთ ამ სასახლეს. ყველანი ერთად ტბაზე წავედით ცხენებითა და ეტლებით. მე და ტუსიმ, ზუზასთან და მის ძმასთან ერთად დამალობანა ვითამაშეთ. იმ დაფიდან ჩუმად ორი პაიკი წავიღეთ სათამაშოდ. გახსოვს ზუზა?

– რა დამავიწყებს! პაიკების
დამალობანას ვთამაშობდით. თეთრი
პაიკი მე და ჩემმა ძმამ დავმალეთ,
ანამ და ტუსიმ კი – შავი. მახსოვს,
დიდი მუხის ფულუროში შავი პაიკი
ვიპოვე. ხელი დავტაცე, უნდა მეყვირა,
მოვიგეთ-მეთქი. ამასობაში ტყიდან
ყაჩაღები გამოცვივდნენ და თავს
დაგვესხნენ. ჩვენ საჩქაროდ ეტლებში
ჩაგვესვეს და სასახლისკენ გამოგვაქანეს.
თქვენი ბაბუები კი იქ დარჩნენ



და ყაჩაღებს შეებრძოლნენ. ალბათ,
ხვდებით, როგორ დაიკარგა მეორე
ფიგურა.

მას შემდეგ ჭადრაკის დაფა
შენახულია. ისე მინდა, რომ
გადმოვიღო, გავშალო და ვითამაშო!..
მაგრამ, სამწუხაროდ, ფიგურა აკლია.
რამდენი წელია, უქმად დევს!

– მამა, ახალი პაიკი რატომ არ დამზადებინეთ?

– საქმე ისაა, რომ ამ ჭადრაკის თეთრი ფიგურები ჯუჯა სპილოს ძვლისგან არის დამზადებული. სპილოს ეს სახეობა კი უკვე დიდი ხანია გადაშენდა. ახლა გვიანია, დაიძინეთ. ხვალ გამახსენეთ და ერთად ვნახოთ ბიბლიოთეკაში წიგნი სპილოებზე.

– მამა, სად დამალეთ თეთრი პაიკი შენ და შენმა ძმამ?

– აი, ეგ კი ზუსტად აღარ მახსოვს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაშინ ხომ პატარები ვიყავით.

– დედა, მამა, ახლა რაღაცას
გეტყვით, ოღონდ არ გაგიკვირდეთ.
მე და ბაჩომ დღეს თეთრი პაიკი
ვიპოვეთ. მაყვლის ბუჩქის შიგნით
იდგა და ტიროდა. რომ მივედი,
დაგველაპარაკა! – აღტაცებით თქვა
მარიმ.

– რაო? პაიკი დაგელაპარაკათ?
– გაეღიმა ანას. – მგონი
თამაშისგან ძალიან დაიღალეთ.
მოდით, დავიძინოთ. თან საინტერესო
ამბავი უკვე გიამბუთ.

– დედა, ის მართლა ლაპარაკობს.
აი, ნახე.

მარი მიბრუნდა, ბალიშებს
შორის ჩაყო ხელი და თეთრი პაიკი
ამოიღო. ჩვეულებრივი პაიკი იყო,
არც მოლაპარაკეს ჰგავდა და არც —
ნამტირალეს.

— ღმერთო ჩემო, ეს ის პაიკია! —
დაიძახა ანამ და ფრთხილად გამოართვა
მარის. — კი, ნამდვილად ის არის!

შეხედე, ზუზა, ხომ ის პაიკია?

— მგონი, ის უნდა იყოს.

— მოიცა, ყუთს გამოვიტან, —
შესძახა აღტაცებულმა ანამ, ოთახიდან
გავიდა და მალე ჭადრაკის დაფით
დაბრუნდა. — ნახეთ, რა ლამაზი
ფიგურებია! აი, მეფე და დედოფალი,

აი, ეტლი და მხედარი. პაიკებიც
ზუსტად ასეთია.

– მე ოფიცერიც ძალიან მომწონს! –
თქვა ზუზამ.

ბავშვები სიხარულით
ათვალიერებდნენ ჭადრაკის ფიგურებს.

დილით მარი და ბაჩო ერთდროულად
გამოვიდნენ ოთახიდან. მზის
სხივებში გახვეულ აივანზე ზუზა
და ანა ისხდნენ. შუაში, ლამაზად
მოჩუქურთმებულ მაგიდაზე, ჭადრაკის
დაფა იყო გაშლილი. დედოფალმა ანამ
ნაზად მოჰკიდა ხელი ჩვენს ნაცნობ
თეთრ პაიკს და პირველი სვლა გააკეთა.
პაიკმა ამაყად გამოსხედა ბავშვებს
და თვალი ჩაუკრა. რასაკვირველია,
ბავშვების გარდა ეს არავის შეუმჩნევია.

– ზუზა, რას იტყვი, საჭადრაკო ტურნირი ხომ არ გავმართოთ? – მოულოდნელად იკითხა ანამ. – უკვე 33 წელია, ჩვენს სამეფოში ასეთი შეჯიბრი აღარ ყოფილა.

– კარგი აზრია, ძვირფასო. დღესვე ვეტყვი ჩვენს შიკრიკს, ყველას აუწყოს: საჭადრაკო ტურნირი იწყება სამეფოს პირველობაში.

მეორე დილით მეხანძრე ბუთა მოწყენილი იჯდა თავის ჯიხურში და უსაქმურობისგან ამთქნარებდა. უკვე ოც წელზე მეტია, სამეფოში ხანძარი არ ყოფილა. არც ჭადრაკის ჩემპიონატი გამართულა, რომ გული გადაეყოლებინა. უცებ მისმა უმცროსმა შვილმა მოირბინა ყვირილით:

– მამა, ჩქარა წამოდი. იწყება,
იწყება!

– რა იწყება? – სწრაფად წამოხტა
ბუთა და წყლით სავსე კასრს წამოავლო
ხელი, ეგონა ხანძარი იყო სადმე.

– საჭადრაკო ჩემპიონატი იწყება.
მეფის შიკრიკი ყვირის მთავარ
მოედანზე!

ბუთამ კასრი ისევ დაბლა დადგა,
ხელები მოიფშვნიტა, გაიღიმა, და თქვა:

– ძალიანაც კარგი! ესე იგი
დაკარგული პაიკი იპოვეს.

ჭადრაკის სამეფო ჩემპიონატზე
იმ წელს ისევ ბუთამ გაიმარჯვა.
გამარჯვებულს ჯილდოდ ჭადრაკის

ისტორიული დაფა გადასცეს და
საჭადრაკო სკოლის მთავარ მწვრთნელად
დანიშნეს. ბუთამ სწორედ ამ დაფაზე
ასწავლა ჭადრაკის თამაში მარის, ბაჩოს
და თითქმის მთელი სამეფოს ბავშვებს.

ათი წლის შემდეგ მარიმ სამეფოს
საჭადრაკო ჩემპიონატი მოიგო. ხოლო
კიდევ ორი წლის შემდეგ სრულიად
სამეფოთაშორისო „ოქროს დედოფლის
დიდი ტურნირის“ ჩემპიონი გახდა.

